ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1281069

ნომერი: AR1219948

თარიღი : 15.05.2014

გაცემის თარიღი : 21.05.2014

გაცნობის თარიღი : 22.05.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 83/11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ ურუშაძე პ/ნ 01005003987
- დ.აღმაშენებლის 55/1

ორგანიზაცია:
- MEDISON კოდი: 404923632

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ აღნიშნულის განხორციელება სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია, თუმცა წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- ახალი 01.04.2014წ. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად შპს "MEDISON"-ის დირექტორს წარმოადგენს მოქ. ზეზვა ობგაიძე, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენს ძველმა დირექტორმა ნიკოლოზ ურუშაძემ, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინოთ მოქ. ზეზვა ობგაიძის მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე ან ახალი განცხადებით მოგვმართოს შპს "MEDISON"-ის დირექტორმა.

- ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად არ ფისწირდება ფართები სართულების მიხედვით, რითაც გაურკვეველია თქვენი კუთვნილი ფართი რომელ სართულზე მდებარეობს, საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ შენობის თანამესაკუთრის შპს "ედემი"-ს დირექტორის მოქ. მარინე ფანიაშვილის მიერ გაცემული თანხმობა კონდენციონერების განტავსების თაობაზე, რომელიც უნდა აიტვირთოს "ფაილის მიმაგრების ველში".

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.